ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 180

"8" ივლისი 2016 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სოფლების ძველი ვეძისი, დიდგორი და თელოვანი ტერიტორიაზე მგლისა და ტურის რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების შესახებ უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შორის 2016 წლის 23 ივნისს გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-17 მუხლის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის და „გარეულ ცხოველთა რეგულირების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 31 ოქტომბრის №146 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1.დამტკიცდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სოფლების ძველი ვეძისი, დიდგორი და თელოვანი ტერიტორიაზე მგლისა და ტურის რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების შესახებ უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შორის 2016 წლის 23 ივნისს გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება, დანართის შესაბამისად.

2.განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოსთავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

ხელშეკრულება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სოფლების ძველი ვენისი, დიდგორი და თელოვანი ტერიტორიაზე მგლისა და ტურის რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების შესახებ უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე

ქ. თბილისი

2016 წელი, 23 ივნისი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-17 მუხლისა და „გარეული ცხოველების რეგულირების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 31 ოქტომბრის №146 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლით დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე, ერთის მხრივ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (ქ. თბილისი გულუას ქ. №6) წარმოდგენილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის (შემდგომში მინისტრის პირველი მოადგილე) თეიმურაზ მურღულიას სახით და მეორეს მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქ. N7), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში მუნიციპალიტეტის მერი) დავით ნარმანიას სახით,

შეეთანხმდით შემდეგზე:

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას (შემდგომში მერია) გადაეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სოფლების ძველი ვენისი, დიდგორი და თელოვანი ტერიტორიაზე მგლის 10 (ათი) და ტურის 10 (ათი) ინდივიდის რაოდენობის რეგულირების უფლება, მათი გარემოდან ამოღებით.
2. მგლისა და ტურის ინდივიდების რაოდენობის რეგულირების ღონისძიება, მათი გარემოდან ამოღებით განხორციელდეს ისეთი ხერხებით, რომლებიც გამორიცხავენ სხვა სახეობის გარეული ცხოველებისათვის ზიანის მიყენებას და უზრუნველყოფენ გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს შენარჩუნებას;
3. რეგულირების ღონისძიების განსახორციელებლად მერია ქმნის ჯგუფს (ჯგუფებს), რომელსაც ევალება მგლის 10 (ათი) და ტურის 10 (ათი) ინდივიდის გარემოდან ამოღება;
4. დაუშვებელია გარემოდან ამოღებული მგლისა და ტურის ინდივიდების, ან მათი ნაწილების გაყიდვა, ან რაიმე ფორმით გასხვისება. იგი უნდა განადგურდეს მერიის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
5. მგლისა და ტურის ინდივიდების გარემოდან ამოღებასთან დაკავშირებული ღონისძიებები დაფინანსდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, საჭიროების გათვალისწინებით;

6. მგლისა და ტურის ინდივიდების გარემოდან ამოღების პროცესის კონტროლს ახორციელებს სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (შემდგომში დეპარტამენტი). აღნიშნულის განხორციელების უზრუნველსაყოფად, მერია ვალდებულია წინასწარ აცნობოს დეპარტამენტს რეგულირების ღონისძიების ჩატარების დადგენილი ვადების თაობაზე;

7. ხელშეკრულება ძალაში შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისი დამტკიცების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 მარტამდე;

8. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით;

9. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაწყვეტს სასამართლო;

10. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

თეიმურაზ მურღულია
მინისტრის პირველი მოადგილე

დავით ნარმანია
მუნიციპალიტეტის მერი